

მხატვარ_შემსრულებელი 080651
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მხატვარ-შემსრულებლის პროფესია მნიშვნელოვანი და აუცილებელი რგოლია მხატვრულ-დიზაინერული და სამშენებლო სამუშაოების სფეროში და დიდ როლს თამაშობს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ სფეროს პროდუქციას გააჩნია როგორც ესთეტიკური, აგრეთვე უტილიტარული დანიშნულება.

II. დასაქმების სფერო

მხატვარ-შემსრულებლის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა: სარეკლამო სააგენტო, დიზაინერული სტუდია, სამშენებლო კომპანიები, დამხმარე სარესტავრაციო სახელოსნოები, მუზეუმები, გალერეები, სამხატვრო სალონები.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მხატვარ-შემსრულებლის პროფესიული განათლება ხუთსაფეხურიანია. თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მხატვარ-შემსრულებლის პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 20 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მხატვარ-შემსრულებლის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მხატვარ-შემსრულებლის მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 20 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მხატვარ-შემსრულებლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მხატვარ-შემსრულებლის მესამე საფეხურის პროგრამა მოიცავს მინიმუმ 20 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მხატვარ-შემსრულებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მხატვარ-შემსრულებლის მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მხატვარ-შემსრულებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მხატვარ-შემსრულებლის მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მხატვარ-შემსრულებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. დამატებითი მოთხოვნები

- მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტი დაიშვება შემოქმედებითი ტურის გავლის შემდეგ.
- I, II, III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაქმებისთვის პედაგოგს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- IV, V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაქმებისთვის პედაგოგს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება

V. მხატვარ-შემსრულებლის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

მხატვარ-შემსრულებლის პირველი საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცნობს სამხატვრო მასალების ზოგად კლასიფიკაციას. იცის სხვადასხვა სახის საღებავების, გრუნტების, ლაქებისა და მაკავშირებლების თვისობრივი მახასიათებლები, საფარი საშუალებების შერჩევა მასალისა და ამოცანის შესაბამისად.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.</p>	<p>უშუალო ხელმძღვანელობით შეუძლია საღებავების შეზავება, ლაქების, მაკავშირებლების, ფუნჯებისა და საფარი საშუალებების შერჩევა სხვადასხვა კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. შეუძლია საფასადო სამუშაოებისთვის სამღებრო მასალების მიზანშეწონილობის დადგენა. ხელმძღვანელის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ შეუძლია დასაფარი ზედაპირის (ინტერიერი, ექსტერიერი) დამუშავება.</p>

დასკვნის უნარი	შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაოს პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა	შეუძლია მიმდინარე სამუშაოებისას ხელმძღვანელის რჩევებისა და მითითების გათვალისწინებით წამოჭრილი მარტივი ტექნიკური ან მეთოდური პრობლემის ამოცნობა. როგორც შეიძლება იყოს სამღებრო სამუშაოსთვის არასწორად შერჩეული მკავშირელები, ფუნჯები, საფარი საშუალებები, ან პიგმენტის გადაჭარბებული დოზირების შემთხვევაში არარეგულირებადი ფერის მიღება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე.	შეუძლია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი ინფორმაციის, შრომითი ხელშეკრულების ან სხვა რაიმე საჭირო დოკუმენტის წაკითხვა _ გააზრება, ხელმძღვანელთან, დამკვეთთან პროფესიული საქმიანობის მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. უცხო ენაზე მარტივი ტექსტების გაგება.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა	შეუძლია პედაგოგის მიერ მითითებული წყაროს მეშვეობით მოიპოვოს და გაიაზროს ინფორმაცია; გაითვალისწინოს უფროსი კოლეგების პრაქტიკული რჩევები, აითვისოს მათი გამოცდილება.
ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს	ურთიერთობს ხელმძღვანელთან, კოლეგებთან ეთიკური ნორმების გათვალისწინებით. ავლენს კეთილგანწყობას მათ მიმართ. შეუძლია მუშაობა კოლექტივში. კეთილსინდისიერად ასრულებს მიღებულ დავალებებს. იცავს ტექნიკური უსაფრთხოების წესებს ქიმიური საღებავების გამოყენების დროს.

მხატვარ_შემსრულებლის მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	იცის სამხატვრო-სამღებრო სამუშაოების დროს მიმდინარე პროცესების თანამიმდევრულობა და კონკრეტული დავალების შესასრულებლად საჭირო მეთოდისა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური საშუალებების სწორად შერჩევა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები ძირითადი	შეუძლია სამღებრო მასალების თვისობრივი მახასიათებლების მიხედვით მათი ხარისხის დამოუკიდებლად განსაზღვრა. მიღებული დავალების შესრულებისთვის შესაბამისი ხარისხისა

	მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.	და თვისების მქონე მასალის შერჩევა. დამოუკიდებლად შეუძლია ესკიზის მიხედვით, პიგმენტური თავსებადობის წესების დაცვით ფერების შედგენა. დამუშავებულ სიბრტყეზე ტრაფარეტით დეკორატიული ელემენტების გადატანა.
დასკვნის უნარი	შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.	შეუძლია ხელმძღვანელის რჩევებისა და მითითებების გათვალისწინებით მიღებული დავალების შესრულებისას ამოცანისთვის შერჩეული მასალის შეუსაბამო ხარისხობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების გამოვლენა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	შეუძლია სხვადასხვა პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით ხელმძღვანელთან, დამკვეთთან ან კოლეგებთან, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი კომუნიკაცია. პროფესიის სფეროში მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. აგრეთვე უცხო ენაზე მოპოვებული მარტივი საინფორმაციო ტექსტის თარგმნა.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.	დამოუკიდებლად შეუძლია ხელმძღვანელის მიერ მითითებული ინფორმაციის მოპოვება_დამუშავება. მომავალში პროფესიული სრულყოფისთვის აცნობიერებს სწავლის გაგრძელების აუცილებლობას.
ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	იცავს მხატვარ_შემსრულებლის პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ ყველა წესს. ურთიერთობს ხელმძღვანელთან, დამკვეთთან, კოლეგებთან ეთიკური ნორმების დაცვით. პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიულ საქმიანობას. მოქმედებს უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით.

მხატვარ_შემსრულებლის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულბული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცნობს ბუნებრივ და ხელოვნურ ორგანულ პიგმენტებს. შეუძლია ცალკეული პიგმენტის დახასიათება. იცის სხვადასხვა პიგმენტების საფუძველზე დამზადებული საღებავების თვისებები. ადგენს ფერს პიგმენტური მახასიათებლების მიხედვით. იცის მყარი ზედაპირებისთვის გრუნტების დამზადების ტექნოლოგიები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია სამხატვრო და გაფორმებითი სამუშაოებისთვის ინტერიერისა და ექსტერიერის კედლების გალესვა და დაგრუნტვა. ესკიზის მიხედვით ფერების შედგენა-რეგულირება. დამუშავებულ სიბრტყეზე საშუალო სირთულის ესკიზის განხორციელებისთვის შეუძლია შესაბამისი მეთოდის შერჩევა, ტრაფარეტით დიდი და მცირე დეკორატიული ფორმების გამოსახვა. ნახატისა და ფერის საშუალებით საგნის, ობიექტის პლასტიკური დახასიათება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია მიღებული დავალების განხორციელებისას ტექნიკური ან ტექნოლოგიური სირთულის წამოჭრის შემთხვევაში მისთვის ცნობილი ინფორმაციის გამოყენებით მოკლე დროში პრობლემის გადაჭრა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>არაერთგვაროვან სიტუაციებში, პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ხელმძღვანელთან, დამკვეთთან, კოლეგებთან ზეპირი და წერილობითი ურთიერთობის გარდა, ეფექტურად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. საჭიროების შემთხვევაში კომუნიკაციას ახორციელებს უცხო ენაზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>აცნობიერებს ფერწერის მასალათა ტექნოლოგიებში კომპეტენციების გამომუშავების აუცილებლობას. ამ საკითხებთან დაკავშირებით შეუძლია წყაროების მოძიება,</p>

		შესწავლა_განალიზება. შემდგომი სწავლის დაგეგმვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	განსხვავებულ სიტუაციაში მოქმედებს პროფესიული საქმიანობის ყველა წესის დაცვით. საზოგადოებასთან, ხელმძღვანელთან, კოლეგებსა თუ დამკვეთებთან ურთიერთობს მხოლოდ ეთიკური ნორმის ფარგლებში. არის პუნქტუალური, შეუძლია სამუშაო დროის ორგანიზება, იცავს ტექნიკური უსაფრთხოების წესებს, კეთილსინდისიერად ასრულებს პროფესიულ ვალდებულებებს.

მხატვარ_შემსრულებლის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცნობს ხატვისა და ფერწერის ზოგად საბაზისო პრინციპებს. აქვს ფერწერის მასალების (ზეთი, აქვარელი, გუაში, აკრილი) თვისებებისა და დამზადების ტექნოლოგიების თეორიული ცოდნა, ამაზე დაყრდნობით აცნობიერებს და ავლენს სასწავლო ამოცანის შესრულებისას გამოყენებული მასალის სახვით ღირებულებებს. მხატვრული ნიმუშების კოპირების შედეგად შესწავლილი აქვს სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები, რომელსაც ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. იცის ფერის საშუალებით სასურათე სიბრტყეზე საგნების კონსტრუირება. იცნობს კომპოზიციის ზოგად საფუძვლებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	ფერწერული ნამუშევრებისთვის შეუძლია ქვეყარჩოს დამზადება, მასზე ტილოს გადაჭიმვა, მისი დაგრუნტვა. გრუნტისთვის მასალების შერჩევა. ზეთის, აკრილის, ტემპერის და სხვა საღებავებისთვის გრუნტების მომზადება. მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ ფერწერული ამოცანების განხორციელება, საგნების-ობიექტების ფერთი და ფაქტურული ასახვა. მაღალი სიზუსტით ახდენს მხატვრული ნიმუშების

		კოპირებას.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია მიღებული დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა. მის გამოსასწორებლად ალტერნატიული საშუალების მოძიება. მიღებული შედეგის ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	სხვადასხვა სასწავლო ამოცანების შესრულების დროს პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა, ინფორმაციის მოძიება-დამუშავება. როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	შეუძლია მხატვარ-შემსრულებლის პროფესიის უკეთ ათვისების მიზნით ცოდნის მიღების საშუალებების მოძიება, და შემდგომი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა. აცნობიერებს მხატვრული ნიმუშების კოპირების აუცილებლობას.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	არაერთგვაროვან სიტუაციებში მკაცრად იცავს პროფესიული საქმიანობის ყველა წესს. პედაგოგებთან, კოლეგებთან ურთიერთობისას არ არღვევს ეთიკურ ნორმებს, არის მათ მიმართ კეთილგანწყობილი. კეთილსინდისიერად ასრულებს პროფესიულ ვალდებულებებს, მკაცრად იცავს შიდა (ინტერიერის) სამუშაოებისთვის

		ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალის შერჩევის პრინციპს. შეუძლია სამუშაო დროის ორგანიზება, იცავს ტექნიკური უსაფრთხოების წესებს.
--	--	--

მხატვარ შემსრულებლის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	ფლობს კომპეტენციებს ხატვასა და ფერწერაში. იცნობს კომპოზიციის საფუძვლებს. გააჩნია ხელოვნების ისტორიის ზოგადი ცოდნა. იცის ზეთის, წყლის, ცვილის საღებავების მოხმარებისა და დამზადების ტექნოლოგიები. იცნობს სხვადასხვა ზედაპირებისთვის ზეთის და ნახევრად ზეთის, წებოს, ალკიდის, ემულსიის, სინთეტიკური და კომბინირებული გრუნტების მომზადების ტექნოლოგიებს. იცის ესკიზის მაშტაბის გადიდებისა და მისი განხორციელების წესები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	მაღალი ხარისხით ასრულებს მხატვრულ და გაფორმებით სამუშაოებს. შეუძლია სხვადასხვა სირთულის ესკიზის მაშტაბის გადიდება-გადატანა და განხორციელება. დეკორატიული სამუშაოებისთვის ტრაფარეტის გამოჭრა-გამოყენება, ინტერიერისა და ექსტერიერის დეკორატიული დეტალების დაფერვა. მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებს მხატვრული ნიმუშების ასლებს. შეუძლია ფერების შედგენა პიგმენტური მახასიათებლების მიხედვით. ამზადებს გრუნტებს ტილოსა და სხვადასხვა მყარი ზედაპირებისთვის. მხატვრული საშუალებებით შეუძლია საგნების-ობიექტების პლასტიკური დახასიათება. ფერის საშუალებით იდეის რეალიზება. გააჩნია დაგროვილი ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების გადაცემა პირველი-მესამე საფეხურის სტუდენტებისათვის.

დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	მხატვრული გაფორმებითი სამუშაოების მიმდინარეობისას, მოსალოდნელი პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში შეუძლია მისთვის ნაცნობი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით არსებული პრობლემის აღმოფხვრა. შეუძლია პროფესიული კომპეტენციების ფარგლებში არგუმენტირებულად ურჩიოს დამკვეთს დაგეგმილი სამუშაოს შესრულების ალტერნატიული მეთოდები.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში კოლეგებისა და სპეციალისტებისთვის ამომწურავი ინფორმაციის სისტემურად და თანამიმდევრულად მიწოდება. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით შეუძლია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთობა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია პროფესიულ სფეროში წარმატებული საქმიანობისთვის სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა, პრიორიტეტების განსაზღვრა და შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების აუცილებლობის შემთხვევაში მისი განხორციელება.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.	ნებისმიერ სიტუაციაში - ინდივიდუალური თუ კოლექტიური მუშაობის დროს - იცავს პროფესიული საქმიანობის ყველა წესს. კოლეგებთან ურთიერთობს ეთიკური ნორმების დაცვით. კოლექტიური სამუშაოების შესრულებისას მოქმედებს შეთანხმებულად სამუშაო ჯგუფის თითოეული წევრის ფუნქციამოვალეობის გათვალისწინებით. შეუძლია სამუშაო დროის ორგანიზება. არის პუნქტუალური და მოწესრიგებული. იცავს ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებს.